საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

ბრძანება № 111

თბილისი „17" 08 2018 წ.

„ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 14 აგვისტოს N1005741 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტებისთვის გრიფის მინიჭების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 24 ივლისის N25 ბრძანებაში და ბრძანების დანართით განსაზღვრულ, „უცხოური ენების" საგნობრივ ჯგუფში შემავალ „მეორე უცხოური ენის (რუსული)" საგნის V-VI კლასების სახელმძღვანელოს დასახელება (განაცხადის ID 180) ნაცვლად „Русский язык и литература" განისაზღვროს დასახელებით - „Русский язык" და დანართის აღნიშნული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

უცხოური ენები	მეორე უცხოური ენა (რუსული)	სავალდებულო	V-VI	Русский язык	შპს "გამომცემლობა დიოგენე" (ს/კ 204876090)	მაია რევია	მასწავლებლის წიგნი, მოსწავლის წიგნი, მოსწავლის რვეული, ელ. რესურსი მასწავლებლის წიგნისათვის	რუსული	ქართულენოვანი/ არაქართულენოვანი	180	–

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

თეიმურაზ მურღულია
მინისტრის მოადგილე